ქ. მცხეთა 20.04.2012წ.

# ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებ, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წლის 21 თებერვალს გამოცხადებულ №355 კონკურსში „მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯილაურის წყალმომარაგების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა“-ზე კონკურსის მიმდინარეობაში, ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის I თავის მე-8 მუხლის ე) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირობებს.

კომისიის თავმჯდომარე: თ . აბაშიძე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ლ. ტყემალაძე

კომისიის მდივანი: ქ. ჭკალაძე

კომისიის წევრები მ. სოხაშვილი

ი. ჯიშკარიანი

ზ. მარსაგიშვილი

გ. პაპაშვილი

ი. ციციშვილი

მ. თუხარელი

ი. ოდიშელიძე

სახელმწიფო შესყიდვებისათვის მოსამზადებელი დოკუმენტაციის, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი

ოქმი №2

ქ. მცხეთა                                                  20 აპრილი 2012 წელი

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

| | | |
|---|---|---|
| თეიმურაზ აბაშიძე | – | მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი -კომისიის თავმჯდომარე; |
| ლერი ტყემალაძე | – | ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი-კომისიის თავმჯდომარის მოადგილე; |
| ქეთევან ეკალაძე | – | საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი სპეციალისტი-კომისიის მდივანი; |
| მარინე სოხაშვილი | – | ადმინისტრაციული სამსახურის, იურიდიული განყოფილების უფროსი-კომისიის წევრი; |
| ილია ჯიშკარიანი | – | ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, ქონების აღრიცხვის, მართვის და სტატისტიკის განყოფილების უფროსი-კომისიის წევრი; |
| გიორგი პაპაშვილი | – | საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების მთავარი სპეციალისტი- კომისიის წევრი; |
| ილია ციციშვილი | – | საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, ბიუჯეტის დაგეგმვის განყოფილების უფროსი-კომისიის წევრი; |
| მერაბ თუხარელი | – | საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი- კომისიის წევრი; |

ილია ოდიშელიძე – მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის უფროსი–კომისიის წევრი;

ზურაბ მარსაგიშვილი – ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი-კომისიის წევრი;

დღის წესრიგი:

მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წლის 21 თებერვალს გამოცხადებული №355 „მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯიღაურის წყალმომარაგების მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა"-ზე კონკურსის განხილვა და შეფასება.

განიხილეს:

კომისიამ განიხილა შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" -დან მოხული წერილი №1-538 19.04.2012, რომლის თანახმადაც კომპანია უახლოეს მომავალში არ გეგმავს სოფ. ჯიღაურის წყალმომარაგების საკითხის განხილვას.

კონკურსის გამოცხადებამდე კომისიამ ვერ მოიძია ზემოაღნიშნული ინფორმაცია, რის გამოც შეუძლებელია სათანადო ეფექტის მიღება და გამარჯვებულის გამოვლენა.

აღნიშნულ კონკურსზე ასევე წარმოდგენილი იყო შპს „არქსერვისი-2008"-ის (ს/კ 236097781) საკონკურსო წინადადება, მაგრამ შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" №1-538 19.04.2012 წერილის საფუძველზე კომისიამ მისი განხილვა აღარ მიიჩნია მიზანშეწონილად

კომისიამ დაადგინა:

შეწყდეს მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წლის 21 თებერვალს გამოცხადებული №355 კონკურსი „მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯიღაურის წყალმომარაგების მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა"-ზე, რის შესახებაც ოფიციალურად ეცნობება კონკურსში მონაწილე შპს „არქსერვისი 2008"-ს.

კომისიის თავმჯდომარე: თ. აბაშიძე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ლ. ტყემალაძე

კომისიის მდივანი: ქ. გკალაძე

კომისიის წევრები მ. სოხაშვილი

ი. ჯიშკარიანი

ზ. მარსაგიშვილი

გ. პაპაშვილი

ი . ციციშვილი

მ. თუხარელი

ი. ოდიშელიძე

**gwp**

მეტი ვიდრე უბრალოდ წყალი
MORE THAN JUST WATER

№ 1942/09 D 12.04.12

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს
თეიმურაზ აბაშიძეს

19.04.2012

ბატონო თეიმურაზ,

კომპანიამ „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" მიიღო მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის №1231 წერილი დათარიღებული 12.03.2012 დარეგისტრირებული №1683/06, 13.03.2012, სოფ. ჯილაურის წყალმომარაგების განხორციელების შესახებ სოფ. ბიწმენდის ტერიტორიაზე გამავალი ბულაჩაურის წყალდენიდან.

საკითხი განხილული იქნა კომპანიის ტექნიკურ საბჭოზე, რომელზეც აღინიშნა, რომ კომპანიას სახელმწიფოს წინაშე აქვს აღებული ვალდებულება უზრუნველყოს ქ. თბილისის ძველ საზღვრებში 24 საათიანი წყალმომარაგება 2012 წლის ბოლოსათვის.

სოფ. ჯილაურის ახალი მომხმარებლებისათვის ცენტრალიზებული წყალმომარაგების შესაძლებლობის საკითხი ჩვენ მიერ განიხილება ქ. თბილისის 24 საათიანი წყალმომარაგების უზრუნველყოფის შემდეგ.

პატივისცემით

ომარ გოცირიძე
ტექნიკური დირექტორი

1-538
19.04.2012